ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 9—1915. მიიღება ხელმოწერა 1915 „თეატრი და ცხოვრება“-ზე 1 მარტი



დეპუტატი ვ. ლ. გელოვანი (1878—1915)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## № 9

## შინაარსი:


1. **მეთაური**—სარწმუნოება თუ ცრუ-მორწმუნოება 1
2. **გ. ქუჩიშვილი**—გარდახვეწილი 2
3. **დ. ჭანჭათელი**—რად დამივიწყე? „
4. **იოსებ არიმათიელი**—კიდევ ერთი მსხვერპლი—დეპ. ვ. ლ. გელოვანი 3
5. **მიწისშვილი**—მე ვარ „ადამიანი“ 4
5. **ს წეველი**—ღრუბლიანში 5
7. **გიორგი ჯაბაური**—სახალხო თეატ-რის მოღვაწენი—კოტე ხახანაშვილი 6
8. **გალ. ტაბიძე**—ფანტაზია, ლექსი „
9. **შალვა დადიანი**—ომი 7
10. **ალ. შანშიაშვილი**—ქალი გრძნეული (გაგრძელება), 9
11. **ის. ვარაზაშვილი**—ჩვენი თეატრი და მსახიობის ტრაგედია, 12
12. **პ. კორიშელი**—ქალაქში, იმერული სცენა 14
13. **ი—ი**—მწიგნობრობა: ზ. ჭიჭინაძის ახალი გამოცემანი 15
14. **გიგლა მებუკე**—თეატრის ისტორია: უძველესი საბერძნეთის თეატრი „
15. **ქართული სახიობა**—(რეცენზიები), 16
16- **წვრილი ამბები:** „
17 **სურათები**: დეპ. ვ. ლ. გელოვანი, მისი მეუღლე ნინო ბავშვით, კ. ხახანაშვილი, ომში დაჭრილნი ჯარ.-კაც., საბურთალოს სცენის მოყვარენი, ზ. ჭიჭინაძე, თავ. გენო ქობულაშვილი,
18. **განცხადებანი**


## დ. ხაშურის თეატრი

**ი. ზარდალიშვილის ბენეფისი.** კვირას, 8 მარტს ხაშურის ქართ. დრამ. წრის მიერ **ი. ზარდალიშვილის** საბენებფისოდ წარმოდგენილი იქნება ისტორიული დრამა:

## „იმერეთის მეფე“

დრამა 4 მოქ. კოტე მესხისა, მეფე ბაგრატის როლს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი, მარიამ დედოფლისას—შოთაძე. ადგილების ფასი მსაბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ორიგი გამგე **ნინო ყაჭეიშვილისა.** (2—1)

## უკანასკნელი ცნობანი

◆ **დღეს წარმოადგენენ:** 1) ქუთაისის სახალხო თეატრში—„ორ ობოლს,“ ელ, ჩერქეზიშვილის მონაწილეობით; 2) საბურთალოს სახ თეატრში—„დამარცხებულნი“-ს.

◆ **აკაკის ნაწერების გამოცემა** გადასწყვიტა ქართ. საისტ. საეთნ. საზოგადოებამ ხელმოწერით. გამოიცემა ორნაირად. მიწვეულია საგანგებო კომისია.

◆ **გრიშაშვილის საღამო ქუთაისში** გაიმართება სამშაბათს, 3 მარტს.

◆ **აშულ ჰაზირას** განუზრახავს აკაკის საღამო გამართოს ბზობის კვირას, 6 მარტს. კონცერტის დაწყებამდე ჰაზირა სიტყვას წარმოსთქვამს აშულობისა და საითნოვასი და აკაკის შედარების შესახებ.

◆ **ვერაგულად მოჰკლეს** ძუნსულის ხეობაში მურღულის მუშებში კარგად ცნობილი შეგნებული მუშა ალ. იაგ. ღლონტი, რომელსაც მუდამ სათათბიროს წევრთა ამომრჩევლად ირჩევდენ ხოლმე და ბოლოს მუშათა დამზღვევ საკრებულოს და საავადმყოფო კასის გამგეობის წევრად იყო.

◆ **მივიღეთ „სინათლე“** ი. გედევანიშვილისა, რუსულად ლექსად თარგმნილი ნ. რეულლოს მიერ. 76 გვ. ფ. 30 კ.

◆ **გამოვიდა** იუმორისტიულ ჟურნალ „ახალი მათრახი“-ს №1 ეშმაკისა და თაგუნას ხელმძღვანელობით. იყიდება თბილისში „განთიადის“ კანტორაში და პროვინციაში—„განთიადის“ ყველა აგენტებთან. ფ 10 კ.

## საბურთალოს სახალხო სახლი

კვირას 1 მარტს 1915 წ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრის მიერ **ა. მეტრეველის, ბეგლარიძისა** და **შ. საფაროვის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## დამარცხებულნი

დრამა 5 მოქმედ. პ. ირეთელისა. მონაწილეობას მიიღებენ წრის სცენის მოყვარენი. ანტრაქტის დროს გიტარა-მანდალინის ორკესტრი დაუკრავს გ. საყვარელიძის ხელმძღვანელობით. ადგილების ფასი 10 კაპ.—50 კაპ-დე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს $6^1/_2$ საათზე. რეჟისორი: შაქრო საფაროვი. გამგეობის მორიგი წევრნი: პ. ხეთაგაშვილი. ივ ქორფაშვილი. ადმინისტრატორი: ტ. ბურძგლა.

# თეატრი და ცხოვრება

№ 9

წელიწადი მესამე

წლიურად **5** მ., ხანევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: **Тифлис**

**Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 9 | კვირა 1 მარტი | 1915 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1 მარტი

### სარწმუნოება თუ ცრუმორწმუნოება?

დიდი ხანია მეცნიერებამ ბუნების საიდუმლოებას ზეწარი გადაახია და ბევრი ისეთი რამ გვამცნო, რის ცნობაც ჩვენს მამა-პაპათ არც-კი დაჰზმანებიათ... ადამიანმა დაიფლო დედამიწის გული, ზღვარეთი და ჰაერი.. ერთი სიტყვით, იგი შეიქმნა მეფე ბუნებისა, მაგრამ ბევრის მხრით დღესაც კიდევ უვიცობის ბურუსი გვფარავს.. ცრუმორწმუნოებით გაჟღენთილი ვართ და ჩვენს ცრურწმენას ყოველ ნაბიჯზე ვაკანონებთ...

და ასე იქნება, ვიდრე ფხიზლად არ შევხედავთ ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენათ, ერთხელ და სამუდამოდ გაბედულად არ ვადრეკთ ზურგს ძველ ადათ-ჩვეულებათ...

ამ დღეებში კიდევ ერთხელ შევესწარ ჩვენის ხალხის ცრუმორწმუნოების ორ ნაშთს!

ორივე მიცვალებულთა დაკრძალვის დროს ვნახე...

ერთი იყო წარჩინებული, ღრმად განათლებული კაცის ცხედარი... გარს ეხვივნენ უწარჩინებულესი გვამნი, როგორც გვაროვნობით, სწავლა-აღზრდით, ისე მდგომარეობით.. დასძრეს კუბო, კარი მოკეტეს და კუბო შიგნიდან სამჯერ მოაჯახუნეს კარს.

— რად, რისთვის?

— შენი ფეხი მძიმე იყოსო.. ეი. აღარავინ გაიყოლიოო...

და რაკი კუბო კარს მიაჯახეს, ვითომც მიცვალებული ქირისუფალთა „მუდარას“ შეისმენს და აღასრულებს...

განა ამაზე მეტად-ღა შეიძლება გონების დაბნელება?

მართალია, კარს კუბოს მიჯახებით არავის არაფერი აკლდება, მით უმეტეს, თუ მინები არ უსხედეს, მაგრამ ეს ხომ ცრუმორწმუნოების ერთი ნაშთთაგანია და ცრუმორწმუნოების სხვა ნაშთებსაც ამკვიდრებს?..

მეორე მიცვალებული დურგლის ცოლი იყო.. კუბოს მიჯახუნება, რა თქმა უნდა, აქაც გაიმეორეს, მაგრამ გულსაკლავი ის იყო, რომ ამით არ დაკმაყოფილდენ და მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ ისეთი ნადიმ-ღრეობა გაიმართა, რომ მარტო დედაკაცი ოთხმოცამდე იყო.. უკანასკნელი 450 მან. დაიხარჯა.

— რადა, რისთვის?

— მიცვალებულს შენდობას შეუთვლიან, აცხონებენო!

ქალაქში თუ ასეა — უარესია სოფლად: შვიდები, ორმოცები და წლის წირვები ჯერაც არ მოსპობილა...

მაღალი საზოგადოება, მოწინავე ინტელიგენცია ამას ხელს თუ არ უწყობს, არც უშლის. სამღვდელოებაც, მცირე გამონაკლისს გარდა, მაინც ამკვიდრებს ამ ცრუმორწმუნოებას, მასწავლებელი უძლურია...

და გარდა იმისა, რომ დღევანდელ ომიანობის გამო ეგოდენი ზარალი მოგვდის: შინ სარჩოს შემომტანი აღარ გვყავს, მშრომელთ ნაწილი ბრძოლის ველზეა, დღე-ყოველ ომში მოკლულთა ქელეხ-წირვებს ვალევთ, თუ გვაქვს რაე. ყოველ მიცვალებულზე უზომო ვალებში ვეფლობით, როგორც ქელეხით, აგრეთვე სხვა ხარჯებით...

და ეს ზედმეტი ხარჯები მაშინ, როდესაც ჩვენი ნივთიერი არსებობა საძირკველშერყეულია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევე ხალხმა უნდა გამოიდოს თავი, დაჰგმოს თვისი ყოფა-ცხოვრების დამამხობელი ზნე-ჩვეულებანა, და მით უშელავათოს გაუბედურებულ ოჯახებს: სიკვდილი ხომ ყველას აუცილებელი სტუმარია. მაშ რად გვინდა, ერთმანერთი უზომო ხარჯებით დავტვირთოთ, იმისთანა ხარჯებით, რომლებიც ოჯახს ხშირად მიწასთან ასწორებენ?..

სოფლებში გვეგულება მოწინავე გლეხობა, ინტელიგენცია, მასწავლებელნი და მღვდლები... ამათ უნდა ითავონ და სასოფლო განაჩენებით იქნება თუ სხვა გზით აოკვეთონ ეს ჩვეულებანი—ქელეხის ჩვეულება მაინც.. ხოლო თუ ვისმეს გული ერჩის და დაზოგვილი თანხა მოეპოება, მიცვალებულის „სულის მოსახსენებლად“ ნაათალიც რომ შესწიროს ჩვენს რომელსამე საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, საზოგადო დაწესებულებას, სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავს, როგორც ხალხი ამბობს.

ამ ცრუმორწმუნოებათა გარდა ჩვენს ხალხში კიდევ ბევრი მავნე ზნე-ჩვეულება მოიპოება. ამიტომ საჭიროა სცენამ, მწერლობამ და მათმა ქურუმებმა ხელი-ხელ ჩაკიდებით გაილაშქრონ მავნე ჩვეულებათა წინაამდეგ. ჩვენი სცენა უბრალო გასართობი არასოდეს არა ყოფილა და ნურც ახლა იქნება უბრალო გასართობად, ანუ ისეთ ნაწარმოებთა ასპარეზად, რომლითაც ჩვენი ცხოვრებისა არა სცხია-რა. ჩვენ გვჭირია ზნე-ჩვეულების დრამა ანუ კომედია, ჩვენის ცხოვრების სინამდვილის სცენაზე გადატანა და ამ ცხოვრების უკუღმართობის მხატვრულად განსახიერება, რომ ჩვენი სახე, ჩვენი სიმახინჯე და კუზი დავინახოთ,. და რაკი ერთხელ ჩვენს სიმახინჯეს დავინახავთ, არ შეიძლება უკეთურება არ მოვიშოროთ და უკეთესობისაკენ არ გადავსდგათ ნაბიჯი...

აგრეთვე ხალხის მოწინავე შვილთ - სოფლის ინტელიგენციას, მოწინავე გლეხთ, მღვდელთა და სხვათ ევალებათ, რაც შეიძლება ხალხში ფართედ გაავრცელონ რჩეულ ნაწერთა კითხვა, ხალხი სულიერად აზიარონ მეცნიერებისა და მაღალ მოაზრეთა გონების მონარუქს, რომ ცრუმორწმუნოების ბურუსი მიმოიფანტოს და ჩვენს ხალხს კაშკაშა მზიანი დღე გაუთენდეს...

# გარდახვეწილი

სალამი შენდა, სამშობლო მხარევ!
სალამი შენდა კავკასიონო!
შენც, ალაზანო, ცრემლთა მდინარევ!
და... შენც. . კოლხეთის ცელქო რიონო!

უცხოეთიდან გიგზავნი სალამს,
სალამს მზიურს და არწივის ფრთიანს;
შენზე ოცნებით ვიქარწყლებ ვარამს
და თავს გევლები ბუნება-ღვთიანს!..

თუ ველარ გნახე, ტურფა ედემო,
და უცხო ცის ქვეშ ამომხდა სული,
შენ დამიტირე, სიცოცხლევ ჩემო,
შენ მიისვენე შენი ერთგული...



# რად დამივიწყე?

I

— თედო, თუ გიყვარდე, ნუ დამივიწყებ! ხომ იცი შენგან მიღებული ბარათი რა სიამოვნებას მაგრძნობინებს... მე ახლა ობლად ვრჩები, თედო! შენს დაბრუნებამდი, თედო, მე სრული მარტოობა უნდა განვიცადო, სულით ობლობა!—გესმის? არ დამივიწყო! მომიგონებდე მაშინაც კი, როდესაც თოფ-ზარბაზნების გრიალი ყურთასმენას გართმევდეს... შენის განიერის მკერდით მტერს ეკვეთებოდე.

არ დამივიწყო...

II

განშორდენ ერთმანეთს.

თედო ბრძოლის ველზე სდგას... მოელის მტერს. ლაღი, უსაზღვრო ოცნება კი თავის სამშობლოს მთებს ევლება თავს...

თვალი მიუპყრია თედოს უსაზღვრო სივრცისაკენ... თავის თამროს ქანდაკებასავით ამჩნევს... თითქოს აქ არის, მასთან.., მაგრამ რად ხარხარებს, რად ისმის ამ ხარხარში დაცინვა, მწარე დაცინვა? . ეგ ხომ თამროა, რომელიც იწვის სიყვარულის ცეცხლით... ვით თავის თედო? .

— ის ხომ ჩემია, ჩემი!..

III

ღამეა.

წყვდიადი ჰფარავს ყველაფერს .. არეული ხმა თოფ-ზარბაზნებისა ხან-გამოშვებით არღვევს ღამის სიჩუმეს. თედო სდგას სადარაჯოზე, ერთგულ რკინას ზედ დაყრდნობია, და სხეულით დაღლილ-დაქანცულს მისდა უნებლიედ ჩაუთვლემია.

ღამის წყვდიადში მისკენ მოფოფხავს მტერი მახვილით...

...თედო სთვლემს, თავის სამშობლოს ხედავს სიზმარში... ხედავს თამროსაც... ხედ ვს, მაგრამ... თედოს მწყრალად უყურებს... მის სიტყვაზე დაცინვით იღიმება...

—სხვას რათ გაჰყევი, თამრო! რათ შეშალე ჩვენი პირობა, რად მომიწამლე სიცოცხლე?.. გათავდა, მე აღარ დავერიდები მტერს... უშიშრად მივუშვერ მტრის ტყვიას მკერდს... დეე მომკლან...

...და მტერმა თედოს მახვილი გაუსწორა...

— დედო არ ღამივიწყო!

— თამრო, რად დამივიწყე, რად? .

**დ ჭანჭათელი**

## კიდევ ერთი მსხვერპლი——

### დეპუტატი ვ ლ. გელოვანი



ვ. გელოვანი

კიდევ ერთი მსხვერპლი, კიდევ ერთი ლამაზი სიკვდილი და... ღამის არისამშობლო ჩვენი წამებულთა აკალდამად გარდაიქცეს...

თებერვლის 22 ნაშუაღამევის 3 ს. და 35 წ. სახადით გარდაიცვალა სახელმწიფო-სათათბიროს წევრი, საქართველოს ერთი წარმომადგენელთაგანი ვარლამ (კუწიკო) ლევანისძე გელოვანი, რომელიც მსხვერპლი შეიქმნა კაცთმოყვარეობით მოვალეობის აღსრულებისა.

ვინ იყო გელოვანი?

იგი შთამომავალი იყო იმერეთის (ლეჩხუმის მაზრის) წარჩინებულ თავადთა. დაიბადა 1878 წ. პირველად სწავლობდა სოხუმის მთიელთა სასწავლებელში, იქიდან გადავიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელშიაც 1899 წ. შეასრულა სწავლა და პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებელში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. უმაღლესი სწავლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა პეტროგრადის ვექილთა წოდებაში.

პირველ სათათბიროში არა რუსთა გაზეთების წარმომადგენლად იყო პრესის ბიუროში და დიდს მონაწილეობას იღებდა ავტონომისტების კავშირში, რომლის მდივნადაც არჩეულ იქმნა.

1911 წ. თბილისს გადმოვიდა, 1912 წ. ქუთაისის გუბერნიის მხრით აირჩიეს სახელმ. სათათბიროსწევრად აქ შრომის ჯგუფში ჩაეწერა, რომლის მდივნადაც აირჩიეს.

ომიანობის დაწყებისას ვ. გელოვანი დასავლეთის მოწინავე პოზიციებზე წავიდა მეომართა შორის თბილ ტანისამოსის დასარიგებლად. აქ გმირობის გამოჩენისათვის დაჯილდოვებულ იქმნა გიორგის ჯვრით. ოსმალეთთან ომის დაწყებისთანავე, სათათბირომ კავკასიაში გამოგზავნა სხვა სამ დეპუტატთან ერთად სასანიტარო რაზმის სახელმძღვანელოდ.

დიდი და აუტანელი შრომის გაწევა მოუხდათ ხალხის რჩეულთ: გელოვანის გარდა, სუყველანი გამოეცალნენ სხვა და სხვა მიზეზით, დარჩა მარტო გელოვანი და, როგორც სარდალი და სხვანი ამტკიცებენ, დიდს შრომას ეწეოდა დაჭრილ-შეწუხებულ მეომართა შესაწევრად: მთელი დღე-ღამე მუშაობდა, სიკვდილს პირისპირ ედგა და მაინც თავის მოვალეობას—მოქალაქის ნამდვილ მოვალეობას— არ ჰღალატობდა. გვერდში ედგა თავისი მეუღლეც, მოწყალების დათ შესული. დაჭრილ-ავადმყოფთა მიღებისას დროს სარიყამიშის მხარეში 7 თებერვალს სახადით ავად გახდა, 14 თებერვალს თბილისს ჩამოიყვანეს, არამიანცისეულ საქალაქო საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა. მასთან ერთად ჩამოიყვანეს მეუღლე მისი, აგრეთვე სახადით დაავადმყოფებული, რომელიც ახლაც მძიმე ავადმყოფია.

რა თვალსაზარისს იცავდა სათათბიროში?

როგორც ვსთქვით, სათათბიროში გელოვანი, შრომის ჯგუფში ჩაეწერა, მემარცხნე სვეში და სათათბირო ტრიბუნაზე პირველ გამოსვლისთანავე მოითხოვა საქართველოს ავტონო-



**ნინო გიორ. თარხნიშვილის ასული — ვარლამ გელოვანის მეუღლე**

სახადით დაავადმყოფებული. ამჟამად არამიანცისეულის საავადმყოფოში წევს, ხელში უჭირავს შვილი გიორგი, რომელიც მოუკვდა ქმრის დეპუტატად გამგზავრების დროს გზაში 1912 წ.

მია, როგორც ჩვენი ქვეყნის აუცილებელი, ისტორიული საჭიროება. საქართველო რუსეთს თავის ნებით შეუერთდა, რუსეთთან ძმურათაც იცხოვრებს, მაგრამ საკუთარი ბედ-იღბლის გამგებლობა თვითვე უნდა ეკითხებოდეს, შინაური საქმე — სკოლის, სასამართლოს, ეკლესიის და სხ. ყოვლივე თავისებურად უნდა ჰქონდეს მოწყობილიო. სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ ერთნაირი ყურადღება მიექცეს, როგორც სახელმწიფოს შუაგულ მცხოვრებთა, აგრედვე განაპირა ნაწილებსა და არა რუსთა მოთხოვნილებათო. თავგამოდებით იცავდა რუსეთის ყველა ხალხის ეროვნულ მოთხოვნილებათა და მშრომელი ხალხის ინტერესებს: რუსეთის მშრომელ ხალხს — გლეხკაცობას უფასოდ უნდა დაურიგდეს მიწებიო.

სათათბიროში გელოვანი საპატიო ორატორად იყო მიჩნეული: ყოველ მის სიტყვას ყურადღებით ისმენდენ — თვით ისინიც-კი, ვინც მის მსოფლმხედველობას არ იზიარებდენ.

გელოვანის სიკვდილმა კიდევ ერთხელ ნათელჰყო, რა სულიერი სიმტკიცე შერჩენია ქართველ ხალხს: გელოვანი ერთი ნაწილთაგანია იმ ქართველთა, რომელნიც ასე თავდაუზოგველად იხოცებიან აწინდელ მსოფლიო ომში.. მრავალი ქართველის სიცოცხლე უდროვნველად იწირება მსხვერპლად... ხოლო ეს მსხვერპლი ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს არგებს რასმეს თუ არა, ჯერ არავინ უწყის.

განსვენებულმა არ. ჯორჯაძემ როდისღაც სთქვა: როდესაც ქართველს სიკვდილისა აღარ შეეშინდება, საქართველოს აღორძინების ხანაც მაშინ დაიწყებაო...

და აჰა, დღეს ქართველი უშიშრად შეჰყურებს სიკვდილს, ებრძვის და უშფოთველად ჰკვდება, ვითარცა ძველი რომაელი...

და იქნება ჩვენი აღორძინება-განახლებაც დაიწყოს...

ნეტამც!..

**იოსებ არიმათიელი**

# მე ვარ „ადამიანი“

ა

...მე ვარ მხეცი, გრძნობა-გონებას მოკლებული, მე ვსჭამ ჩემი ძმის ხორცს, თუ მშია — ვკლავ მას, თუ კი ეს მე გამომადგება.., მე არა მაქვს არავითარი გრძნობა, და თუ კი ჩემს თავს კარგათა ვგრძნობ, სხვაზედ არას ვფიქრობ..

მაგრამ მე ვშრომობ..., ვშრომობ და მით ჩემს სხეულს ვასაზრდოებ.. და თუ ხანდისხან მე ცოტა არ მყოფნის — სხვას ვგლეჯ ხელიდან თავის ლუკმას... მე მესმის ტირილი მათი - ვისაც ლუკმა წავართვი, სიცოცხლე მოუსპე — მაგრამ რა უყოთ: მე ჩემს კუჭს ვაკმაყოფილებ და ამგვარათ ბუნების კანონს ვასრულებ...

ბ

მე ძლიერ მგრძნობიარე ვარ, დიადი მისწრაფებანი მაქვს და მრავალი ბრწყინვალე აზრები იბადება ჩემს თავში...

მე ჩემი სათუთი გრძნობების დასაკმაყოფილებლად ავაგე საკვირველი შენობანი., შიგ სხვა და სხვა გასართობები... მე ხშირად დავდივარ თეატრებში... იქ სხვა და სხვა სურათები მეხატება თვალ წინ... საუცხოვო სურათები...

იქ ვხედავ გაჭირვებას, ტანჯვა-წვალებას ჩემისთანა არსებისას... მე ძლიერ მეცოდება ის.. მე ვერ ვიტან ამ ცხოვრების სისასტიკეს, საშინელებას.. მე მეცოდება ბედ-

კრული ჩემი მოძმე... მინდა გადავეხვო მას.. გადავკოცნო.. ვაჩუქო თუ რამ მაბ დია...

მე თეატრის გარეთაც ვხედავ ამისთანა ხალხს... მაგრამ ისინი ისე უზრდელნი არიან.. ისე უზრდელნი. პირდაპირ გეტყვის —მშია, არაფერი მიჭამიაო.. უზრდელნი.. დიაღ, მე სათუთი გრძნობა მაქვს და ძლიერ მეცოდება ჩემი ტანჯული მოძმე..

გ

.მე ძლიერ მიყვარს თავისუფლება.. და ვიბრძვი მისთვის.. თავს არ ვიზოგავ მისი მოპოებისათვის... მე მქუხარე ხმითა გავსძახი ჩემს თანამოძმეებს —„ბრძოლა, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა მტარვალებს, გაუმარჯოს თავისუფლებასთქო“, და ვიბრძვი..

დ

.. და როცა თავისუფლებას ვპოულობთ, როცა ძველი კერპები ძირს ემხობიან და ძველი წესები ისტორიას ბარდება.. მაშინ მე თავისუფლების მოტრფიალე—თავისუფლების ჯალათად ვხდები და მათ, ვინც მე ბრძოლაში მეხმარებოდენ, მათ ისევ მონობაში ვაგდებ... ისევ ხუნდებს უყრი ფეხებში და ვსცდილობ თავისუფლების აჩრდილი ისევ არ მოელანდოსთ...

ე

.. „სამშობლო და თავისუფლება“—ოჰ, როგორ მაღელვებენ მე ეს სიტყვები?!.

დიაღ, მე თავგანწირვით მიყვარს ჩემი სამშობლო!.. მიყვარს ჩემი მამა პაპის სისხლით მორწყული მიდამოები და საჭიროების დროს ამ მიდამოებს ჩემს საკუთარ სისხლსაც ვანთხევ..

ვ

ზ

...ჩემი ინტელლექტი, ჩემი განვითარებული გონება, რომელმაც აზროვნების მწვერვალებს მიაღწია, ისე დახელოვნებულია, რომ რიდე ავხსენი ბუნების მრავალ საიდუმლოებათ... მონად გავიხადე ბუნების ძალები...

მე ხმელეთზე ქარივით დავქრი... ზღვაზე და ზღვის ქვეშ გამეფებული ვარ და ჰაერი ჩემი სანავარდო მოედანია... ვით მჩატე ეთერი, მე დავსისინებ ცის განუსაზღვრელ სივრცეში...

მე ყველაფერი ვიცი და სხვას გზას უკეტავ სინათლისაკენ..., თორემ ისიც გაიგებს.. შემეჯიბრება და ისევ დაიძახებს „ბრძოლა, ბრძოლაო“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინეთ ამ სიტყვებს მათთან ერთად მე სხვას ვესროდი და ახლა ისინი ჩემს წინაალმდეგ იქნებიან მიმართული...

თ

მე მეფე ვარ ქვეყნისა!..

მხეცზე უფრო უზნეს ინსტინქტების მქონე!.. მე ვარ ძალა, რომელსაც ვერაფერი ვერ დაიპყრობს!. მე ვარ, როგორც ამბობენ, ღვთის ხატება, რომელსაც დღეს სატანას ხატებაც მიუმატე!..

მე ვარ არსება, რომლისთვისაც არაფერი არ არის, რომლისთვისაც ყველაფერი ნება დართულია!.

მე ვარ უმშვენიერესი და უგონიერესი ქმნილება უხილავისა!..

მე ვარ უდიდესი ალტრუისტი და საშინელი ეგოისტიც!..

მე ყველა მიყვარს და ყველა მძულს, ყველას ჩემს თავს ვანაცვალებ და ყველას ჩემი თავი მირჩევნია!..

.. მე ვარ ქმნილება, რომლის გუშინდელ წმიდათა წმიდას დღეს ვბღალავ და დღევანდელს ხვალ ვაბინძურებ!..

..მე ყველაფერი ვარ!.

მე ვარ არარაობა!.

მე ღმერთი ვარ!.,

...მე ვარ არსება, რომელსაც დიდათ პასუხსაგები სახელის ტარება ხვდა წილად, მაგრამ, რომელსაც დღეს ღირსეულად ატარებს—

— მე ვარ „ადამიანი!!“

[illegible]

# ღრუბლიანში

დე, გაეკრას ცას ღრუბელი,
დამიკარგოს ვარსკვლავ-მთვარე
და ბნელეთში გამიხვიოს
გზა სავალი, არე-მარე,—

სულ წინ ვივლი, და ოდნავად
ვერ შემაკრთობს ბნელი ღამე:
ვიცი, ვიცი, ღრუბელს იქით
ცისკარია მოკაშკაშე!

ს. წეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო თეატრის მოღვაწენი

## კოტე ხახანაშვილი



**კ. თ. ხახანაშვილი**
სახალხო სცენაზე მოღვაწეობის 15 წ. შესრულების გამო

თეატრი ცხოვრების სარკეა, ამ სარკეში ხალხი ხედავს თავის თავს, აწმყოსა და წარსულს... აქ იწვრთნება ხალხის აზრი და გონება... თეატრი უდიდესი სკოლაა...

დიდი თეატრი თავად-აზნაურთა ინტელიგენციამ შექმნა, საჭირო იყო **სახალხო თეატრიც.** ეს ესწყურდა ხალხს, ამას თხოულობდა მისი სული და გული. და აი გამოჩნდა კიდეც ხალხის გულიდან ამონახეთქი ძალა, ხალხის უტყუარი მოკეთენი. მათ აანთეს პირველი ჭრაქი ბნელით მოცულ არე-მარეში, გაადვივეს ცეცხლი, გაციებულ და გაყინულ გულის გასათბობად და მათმა პირველმა სხივმა ავჭალის აუდიტორიაში შეაშუქა. ხალხის შვილებმა შექმნეს სახალხო თეატრი. ამათ რიცხვს ეკუთვნის კოტე ხახანაშვილიც. იგი პირველად 1900 წ. გამოვიდა სცენაზე და ითამაშა „დრონი მეფობენ“ში ბესარიონ ხოხობაძის როლი. იმ დღიდან მოკიდებული კოტე მუდამ დარაჯად უდგას სახალხო თეატრს, სხვებთან ერთად ინაწილებდა იმ ტანჯვა-წვალებას, რაც გამოიარა სახალხო თეატრმა თავის ისტორიაში კოტე ხახანაშვილი ერთი უმთავრესი დერძთაგანია სახალხო თეატრისა. იმის და იმისთანების წყალობით აღორძინდა, აყვავდა და განვითარდა სახალხო თეატრი. სულ სხვაა ხილად, გასართობად სცენაზე თამაში, მაგრამ სულ სხვაა 15 წლის განმავლობაში მუდამ დღე ფიქრობდე რეპეტეციაზე, როლების დასწავლაზე და წარმოდგენაზე, 15 წ. განმავლობაში მუდამ დღე ზრუნავდე ხალხის საკეთილდღეოთ, არწევდე იმ აკვანს, რომელშიაც უნდა გამოუზარდო ხალხს თავის პირმშო შვილები, მუდამ უმღერდე „იავ ნანა ვარდო ნანა— იცან ქვეყანაო“.

აი, გაიზარდნენ, იცნეს ქვეყანა და მასთან ერთად იცნეს თვისი გამომზდელი კოტე ხახანაშვილიც და სწორეთ იმ სცენაზედ, სადაც ხალხის აკვანი ირწეოდა კოტეს და სხვების მეოხებით, დღეს იმავ ხალხის წარმომადგენლებსა ჭსურთ უმდაბლესი სალამი უძღვნან თავიანთ გამზდელს.

ეს დღე არის 5 მარტი. ამ დღეს პირისპირ შეიყრებიან სცენიდან მამა და პარტერიდან შვილნი და ამასა დღესასწაულობს სახალხო თეატრიც.

**გიორგი ჯაბაური**

# ფანტაზია

ფრთები რომ მქონდეს, გავსწევდი იმ მწვერვალს, საზღვრად დადებულს,
იქ ქალწულ თოვლთან ვპოებდი ბინას, მზით აფერადებულს;
მე მსურს იქ დავასადგურო ჩემი ოცნება და ქნარი
და ვკოცნო, ვკოცნო დრუბლების ბაგე ალისფერ ნარნარი.
ფრთები რომ მქონდეს—ეთერის შუქს თეთრსა და მოციმციმეს
მივცემდი გულში მწუხარე დაფარულ ფიქრთა სიმძიმეს.
ქვეყნიურ ამოებისგან დამიფარავდა ცის კალთა,
ალერსი ანგელოსების და მდუმარება მწვერვალთა.
ფრთები რომ მქონდეს, ზეცამდე ამაღლდებოდა თვით სული,
რომ მომესმინა ხანდახან თეთრ ვარსკვლავების ჩურჩული,
განვახლდებოდი იდუმალ და ნაზ სიზმრების მხარეში,
მათთან, რომელთაც კვლავ უყვართ ლაღ არწივივით თარეში.
ფრთები რომ მქონდეს, მზისაკენ გავექანები ზღვის ნავად,
ცის კაბადონზე დავსწერდი მსოფლიოს შესახედავად:—
„გიყვარდესთ“!—იქნებ ყველასი შეხვდეს ამ ნაწერს თვალები
და შეიყვარონ, რადგანაც კაცნი არიან და ძმები.
ფრთები რომ მქონდეს, გავსწევდი იმ მწვერვალს საზღვრად დადებულს,
იქ ქალწულ თოვლთან ვპოებდი ბინას მზით აფერადებულს;
მე მსურს იქ დავასადგურო ჩემი ოცნება და ქნარი;
და ვკოცნო, ვკოცნო დრუბლების ბაგე ალისფერ-ნარნარი!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი

(დასასრული-იხ. „თ. და ც." № 4)

რას შეიცავს არციბაშევის ახალი პიესა „ომი"?

სადღაც, რუსეთის ყრუ პროვინციაში ცხოვრობს მოხუცებული პოლკოვნიკი თავის ცოლ შვილით. ვაჟი სტუდენტია, ქალი კი გათხოვილი, აფიცერსა ჰყავს ცოლად. მიდის ცხოვრება მშვიდათ და წყნარად. იდილური ბედნიერებაა გამეფებული ამ ოჯახში. ყველანი თითქო კმაყოფილნი არიან თავიანთი ხვედრით: ოჯახის უფროსი პოლკოვნიკი თავის მოგონებით, რომ 1877 წ. დიდათ ისახელა თავი რუსის ჯარმა, მისი ცოლი მითი რომ შვილები ეგრე ბედნიერი ჰყავს, მრთელი და გზაზე დამდგარი. მათი ვაჟიც, რომელსაც ჭაბუკურის სიყვარულით უყვარს ახალგაზდა ქალი ასია და მათი ტრფობის კანონიერ დაგვირგვინებას წინ არა უდგას-რა. მათი ქალიც, რომელიც თითქო კმაყოფილია ქმრის სიყვარულით და დასასრულ ქმარიც ამ ქალისა, ნინასი, რომელიც პირდაპირ აღმერთებს თავის ცოლს. მთელი პირველი მოქმედება ამ კმაყოფილების დამასურათებელია და თუ იქა-აქა შეხვდებით ჰანგს ამის წინააღმდეგს, ესეც მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ნინას ქმარს უნდა სამხედრო აკადემიაში დაასრულოს თავისი განვითარება დაშემოდგომისთვის პეტროგრადში წასასვლელად ემზადება. ამ გვარივე მისწრაფებით არის აღჭურვილი ერთი ახალგაზდა კორნეტი დაუე, რომელსაც სამუსიკო ნიჭი აღმოჩენია და უნდა სამხედრო სამსახურს თავი დაანებოს და კონსერვატორიაში შევიდეს. მეტი უკმაყოფილება ეტყობათ ახალგაზდა მებატონეს, რუსის თავადს, რომელიც ნინას ეარშიყება და მიზანისთვის ვერ მიუღწევია, და ახალგაზდავე ავადმყოფ სტუდენტს, რომელიც მისი ავადმყოფობის გამო ყოველივეს ცხოვრებაში პესიმისტურად უყურებს და სხვების ბედნიერება და სიმრთელეც კი აჯავრებს.

ერთის სიტყვით პირველ მოქმედებაში ჩვენ ვეცნობით სრულიად უბრალო და ჩვეულებრივ ადამიანებს, რომელთაც გვარიანად მოუწყვიათ თავიანთი ცხოვრება და თუ აქვთ რაიმე მისწრაფება, ისიც ძალიან ჩვეულებრივი და მშვიდობიანის ხასიათისა.

მაგრამ აი... ზაფხულში ომი გამოცხადდა და უეცრივ იცვლება მთელი სურათი. ნინას ქმარი ომში მიჰყავთ. კორნეტი დაუე, რომელიც სამსახურიდან გასვლას აპირებდა, იძულებულია ომშივე წავიდეს. თვით სტუდენტიც, პოლკოვნიკის შვილიც, ჯან-ღონით სავსე ახალგაზდა მოხალისედ ეწერება. შინ რჩებიან მხოლოდ მოხუცი პოლკოვნიკი, მოარშიყე ახალგაზდა მებატონე და ჭლექიანი სტუდენტი.

არ ითქმის, რომ, გარდა მოხალისედ ჩაწერილ სტუდენტისა, ქმრები მაინც დამაინც სიხარულით მიდიოდენ ომში. კორნეტ დაუეს თავისი მუსიკალური ინსტრუმენტი, სკრიპკა დიდათ გულსა სწვავს.. ვერ შელევია... ნინას ქმარიც ვერ არის ნორმალურ მდგომარეობაში, მაგრამ მოვალეობა, დისციპლინა, სამხედრო წესი... ყოველივე ეს ისეთი გარდუვალი არგუმენტებია, რომ მაინც ვაჟკაცურად მიდიან ბრძოლის ველზე.

აი აქ იწყება: ათასობით მოკლულები, დაჭრილები, იმოსება შავებით ოჯახები, იღვრება ცრემლი დედებისა, დებისა, მეუღლეებისა.

პოლკოვნიკის ვაჟიც მოკლეს ომში. სიძე, ნინას ქმარიც დასჭრეს და ოჯახს დეპეშით აცნობა, რომ მოდის, ბრუნდება.

მოკლულ ვაჟის დედ-მამა თავს ვეღარ იმაგრებენ. დიდი გავლენა იქონია მათზე შვილის სიკვდილმა. მძიმე მგლოვიარებამ მოიცვა მათი სული და გული. მხოლოდ ნინაა გახარებული, რომ ქმარი მოსდის და ამას აყვედრიან კიდეც, განსაკუთრებით დედა მისი. მაგრამ ეგოიზმი დიდი რამეა და ნინა ვერა ფარავს თავის სიხარულს. იგი არავითარ ყურადღებას აღარ აქცევს მის მოტრფიალე მებატონეს, რომელსაც სასოწარკვეთილების დროს, ქმრის ომში წასვლის შემდეგ, კინაღამ დანებდა. ეხლა მისი მზე კვლავ ამოვიდა, მისი ქმარი ბრუნდება, მაშასადამე მისი ბედნიერება კვლავ მტკიცე იქნება და შეურყეველი.

აი მოდის ქმარი ანუ უკეთ მოიყვანეს... ორივე ფეხი მოწყვეტილი აქვს და ამას დაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ომში დაჭრილნი ჯარის კაცნი



ნიკიფორე ფხაკაძე — გიორგი კოდიშაძე — ზაქარია ქავლაშვილი — სოლომონ ბენიძე — ერმილე ვაშაყმაძე

ნახავს ნინა თუ არა, გული უწუხდება და მის მოტრფიალე თავადის მკლავებზე ვარდება.

ეს არის და ეს ძვალი პიესისა

არციბაშევმა არც ამ ნაწარმოებში დაზოგა ქალი. მან აქაც ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ ქალი მხოლოდ მრთელსა და ჯან-საღს სხეულს ეტრფის. დასახიჩრებული, მახინჯი მამაკაცი მისთვის არ არსებობსო. ნინას მაგალითად პირველ ხანებში ვერც კი გაეგო,—როგორ შეიძლება ქალს ქმარი მოუკვდეს და შემდეგ კიდევ მეორეს გაჰყვესო, მაგრამ როგორც კი ომი დაიწყო, ბევრჯერ გაურბინა თავში აზრმა: თუ ქმარი მომიკლეს, შეიძლება თავადს გავყვეო, ეს არც თავადს დაუფარა და აი, როდესაც სახიჩარი ქმარი მოუვიდა, სულის სიღრმეში აღძრული სურვილი სისრულეში მოიყვანა, მიეყრდნო სხვას, ჯან-საღის სხეულს.

ესეთია არციბაშევის გაბედულება. მან მის საყვარელ საგანში, სქესებრივ საკითხში კვლავ ჩაურთა სინამდვილის სამსალა: ქალი დაუნდობელიაო!

ჩვენ ვიცით ამის წინააღმდეგი მაგალითებიც. უზომო თავგანწირვა ქალსა მისი მოყვასისათვის. მაგრამ არ შეიძლება ავტორს არ დავეთანხმოთ, რომ მისი დებულებაც მართალია. თვით ჩვენი აკაკიც „გოგია მეჩანგურეში“ დედისა და დის სიყვარულს ქებახოტბას უძღვნის. ხოლო მოკლულ გმირის მეუღლეს ოფოფად აქცევს, რომელიც თავის კოხტაობაშია გართული და სავარცხელი ქოჩორზე შერჩენია...

ამ გვარად არციბაშევმა ფრიად ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი: დღევანდელ, თანამედროვეთაგან თვალ-გადაუწვდენელ მოვლინება, უბრალო სახეებში ჩვენთვის წარმოედგინა ეს ერთი მხრით და მეორე მხრით სქესებრივი მისწრაფება და ზიზღი ქალისა გაბედულად ეჩვენებინა.

ვიმეორებ, მან ვერ მისცა ამ შინაარს ღრმა მხატვრული ფორმა, მან ვერ ჩამოგვისხა ტიტანიური ტიპები, მაგრამ სქემატიურ ჩამოკრულებში, ისეთ სახეებში, რომლებიც ყველა ჩვენა გვგავს, გვაჩვენა დღევანდელი, წარმავალი, მაგრამ მაინც ჩვენი სახე და გამოიწვია ჩვენი გრძნობის მართალი და ნამდვილი პროტესტი.

მე მეგონა მას გაიტაცებდა ჩვეულებრივი პატრიოტობა, ან არა ნაკლებ ჩვეულებრივი რეზონიორობა ომის წინააღმდეგ. არა, მან უბრალოდ, უბრალო სიტყვებით, უბრალო სახეებით, რამდენადაც თანამედროვისაგან შეიძლება, ობიექტიურად, სიდინჯით გადმოგვცა ჩვენი, დღევანდელი, წუთიერი განცდა.

და, მე მგონი, დღევანდელ მწერალს მეტს ვერც მოვთხოვთ.

ერთი მეგობარი მეუბნებოდა: ეგ პიესა ვერ დარჩება ხანგრძლივ სარეპერტუაროდ. მას დროებითი მნიშვნელობა აქვსო.—შეიძლება! მაგრამ თუ მიუცილებელია დროებითი ნაწარმოების ხილვა, მე მირჩევნია ასეთ, არციბაშევისთანა ჭკვიანსა და გონიერს „მომთქმელს“ და „მოტირალს“ გაუგონო, ვიდრე იმათ, ვინაც, ცალმხრივად გატაცებული, შეიძლება არა გულწრფელათაც, „იტყებს და გოდებს“.

დღეს-დღეობით ამ გვარ პიესის ნახვა და მოსმენა გამომაფხიზლებელ საშუალებად უნდა ჩავთვალოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



**საბურთალოს სახალხო თეატრის სცენის მოყვარენი**
(წარმოდგენები დაიწყეს 15 თებერვალს)

# ქალი გრძნეული

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 2-4, 7)

**ძნელო** აკი სთქვი, თუ ის მოდისო,
ასე იგებ წინად გრძნობით?
შენ, შენ მაინც მოიკრიფე
შენი ძალა მცირე ხნობით!
დამხობილს ეხვევა
აი, ჰხედავ, შენს ახლო ვარ,
გეხვევი და გიმზერ ტრფობით.
გაუმაგრდი ვნების ტალღას!
**ჰანგო** როს აქ მოველ, თანვე მომყვა
გულთან სული შენამსჭვალი;
ერთი იყო მათი გრძნობა
სპეტაკი და გამსჭვირვალი.
ქალო, გული როს მომიკალ,
ქვეყნიური ჩაქრა ვნება;
მაგრამ სული, ნათელსრული
მშვენიერსა თავს გევლება.
ხორციელი სიყვარული
თუმც მომისპე ასე მალე,
ნაცვლად ტურფას შემოგხარის
სულიერი ნელმხურვალე!
**ძნელო** მერე მაგან მე რა მარგოს,
ანუ ჩემსა გიჟურ ვნებას?
მაგით მხოლოდ მომაკვდავი
შენთვის ჰპოვებ ალტაცებას!
ამრეზილი გაეცლება. სარკმელს გადაჰყურებს.
**გმიროს** ხმა გარედან.
ვინ არს ეგე დედოფალი,
რომ ამდენ ხანს ვეძებთ ძმანი
და ვერ ვპოვეთ მისი კვალი?
ერს მგოსანი გამოჰგლიჯა,
ღვთაებრივად ჩანგზე მკვრელი;
დაგვაშორა ჩვენ ნათესავთ,
დაგვინაღვლა მით მშობელი!
ტყვედ შევიპყრობ მაგ ჯადოქარს,
არც დავზოგავ გასათრევლად.
დაუხოცავ მთლად მსახურთა,
თვით მას მივცემ მონას მხევლად.
მაგ ღიაცსა, მაგ ულირსსა,
ამ კოშკში რომ ჩაკეტილა —
ვფიცავ, აღარ გაუთენო
ბედნიერი კიდევ დილა...
**ჰანგო** მილად მისუსტებული ხმით
მოდის გმირო, ჩემი მხსნელი!
**ძნელო** სარკმელიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეომარო! ვისზე სჯავრობ?
ვის უქადის სიკვდილს ხმალი?
უშვერ სიტყვით ვისა ჰკიცხავ,
ვისზედა ხარ ეგრე მწყრალი?

**გმიროს ხმა** შენზე, შენზე...

**ძნელო** ვიშ, ჩემს თვალებს!

**გმიროს ხმა** ძმებსა დღენი ჩაგვიმწარე!
შენ დაგვქსაქსე აქეთ-იქით,
რა დავსტოვეთ ჩვენი მხარე.
ვინ იცის, თუ ტიალ მინდვრად
ჩემნი ძმანი იქმნენ მკვდარნი,
ყვავ-ყორნები ეხვევიან
და მათ ნაშთზე ჰქრიან ქარნი!
მიზეზს ამგვარ დაღუპვისას,
ეს ვით უნდა შეგარჩინო?
ვინ გმფარველობს, გამოვიდეს,
უმალ სოფელს მოვაცილო!

**ძნელო** მე ვინ უნდა მფარველობდეს,
ღია არის კოშკის კარი;
ერთი სუსტი არსება ვარ,
სტუმრისათვის გულმოყვარი.
მაგრამ ყველა მცნობს დედოფლად —
შენც დაამხო ჩემწინ ფარი.

**გმიროს ხმა** მე დავამხო შენ წინ ფარი?
მაცა, სიტყვა შეგანანო!
ვინა ჰნახე, ერთი მითხარ,
აქ ლაჩარი ან უგვანო?
მე დავამხო და ეს საქმე
ჩამომერთვას გმირობაში?
მაცა, მანდილს შეგირცხვენ და
სულს ამოგხდი ტყვეობაში!
არ იცი, რომ ჩემს წინაშე
შიშით ჰკრთინ სამეფონი?
ერთი სიტყვა კმარა ვბრძანო
და დაიქცეს სისხლთა ფონი.
დღესაც ჩემთვის თამაშია
ზარბდომა და ცხარე ომი!
და შენ ვინ ხარ, რომ დავამხო
შენს წინაშე ჩემი ფარი?
განა მკლავი აღარ მიჭრის,
ან დაჩლუნგდა ჩემი ხმალი?
ანუ ჩემი მოერთგულე
ეს მერანი — შავრომალი —
არ მიმაფრენს იქ, სად ისმის
კიჟინა და ბრძოლის ხმანი?

**ძნელო** დაიმშვიდე, გმირო, გული,
დღეს ძვირფასი ხარ სტუმარი;
არ ვარ ღირსი, მაგრე მკიცხო,
არ მიმიძღვის შენ წინ ბრალი.
მოვედ ჩემთან, ძმაც აქ ჰპოვო,
აღარც მკადრო სიტყვა ცხარი.
სტუმარი არის ღვთისა!
იყო მნახველი ძმისა?

**გმირო** მაშ ჩემი ჰანგო მანდ იმყოფება?!
ახლა კი რისხვა ჩემი ყუჩდება!

**ძნელო** ტახტზე წამოწვება
უკვე მიხილე! ვიდრე აქ მოხვალ,
გმირო, ეგ გული გამოგეცვლება;
შენთვის ისურვებ დამისაკუთრო,
ძმა შენი სრულად დაგავიწყდება!

შემოდის გმირო და კართან ჩერდება. თავზე მუზარადი ჰხურავს. ტანზე ჩაჩქანი აცვია. ხელში შუბი და ფარი უჭირავს. გაშტერებული უმზერს ძნელოს. დიდი სიჩუმე.

განა გარედ შენ სჯავრობდი.
დაბლით განა შენ მკიცხავდი?
ცოტას ვეღარ მოითმენდი,
ვიდრე თვალით აქ მნახავდი?
ვიცი, ჰნანობ შენს საქციელს,
გაპატიებ დანაშაულს;
მოხარულ ვარ შენის მოსვლით,
გაგიმართავ დღესასწაულს;

გმირო გაქვავებულივით სდგას,

გმირო! გმირო? სად გინახავს.
ჩემებრ ტურფა შენ სხვა ქალი?
აი, ჰხედავ ჩემი სახე,
ეს კულული, ყელს რომ დამკრავს.
ეს ნაწნავი ერთი წყვილი,
ორი ძუძუ ვნებით სავსე,
ორი ხელი ტურფად თლილი,
სარო-ტანი, ახოვანი
მკერდის ქვემოდ წელი წვრილი —
შენთვის არის, ჩემო გმირო,
შენ გიცდიდი მოელვარე;
რაღას უცდი, რას აყოვნებ?
მოდი! გელი! აეჩქარე!
მეომარო! რომ გამკიცხე
გაპატიებ დანაშაულს!
მოდი ახლოს, საყვარელო!
გაგიმართავ დღესასწაულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გმირო** შეუპყრივარ, დედოფალო,
შენსა ესრეთ სულგრძელობას;
აწ თვით ვწუხვარ, ვით ვიძრახდი
შენთვის ცუდსა ანუ მტრობას!
დამავალე, რაც კი გსურდეს,
ამაცილე თავის გმობას!

**ძნელო** მე თუ გპირდები დღესასწაულს
და დიდ განცხრომას,
ამით სხვის გულსა არ ვავალებ სამაგიეროს,
რომ ჩემგან მიძღვნილ სიკეთისთვის
სიკეთეს მძღვნიდნენ.
ჩემი ბუნება კეთილია, სხვას სხვა
გრძნობა აქვს.
ძვირფასო! ჯილდოდ შენ მიიძღვნი
ჩემსავე ტრფობას!

**გმირო** ჯილდო ჩემგან თვით მიიძღვენ,
გსურს დაგიპყრობ ამ ვრცელ სოფელს;
გსურს მეფეებს დაგიმონებ
და ვანანებ შენსა მგმობელს!
ო, მიბრძანე, დედოფალო,
გემსახურო მზე-მნათობელს!!

**ძნელო** მომწონს შენი მეტყველება,
მეც გპირდები ჩემთან ტრფობას!
ო, შენისთანა ვაჟკაცს რა რიგ გულით
ვნატრობდი!
და ძლივს ველირსე! შენ მიყვარხარ,
ჩემო მიჯნურო!

**გმირო** დღემდე მე რა მიზრუნვია,
ანუ ჩემთან ჩემს ლაშქრობას?
მე ვარ სხვათა მბრძანებელი,
აწ კი ვარჩევ შენს მონობას!

**ძნელო** მისკენ გადაიხრება, ხელებს წინ წაიწვდის, თითქოს ჰსურს მივარდნა და ყელზე მოხვევნაო, მაგრამ ასე გადახრილი დარჩება.

უკეთესად სხვას რას მეტყვი? ——
შენ შეგარგებ ჩემთან ტრფობას!
მოდი, მოდი შენ აქ თვითონ,
აქ დაგატკბობ ჩემის ვნებით!
მოდი გულო!—
ახ, ნუ მსტოვებ აღელვებულს!

ცნობა დაბნედილი, ვით ბრმა, ჰანგოს მკერდს გადასთელავს.

**გმირო** დედოფალს მუხლებ ქვეშ ჩაუვარდება.

გრძნობის უფრსკულო! ვნების უფსკრულო!

**ძნელო** ჩემო ძლიერო! ჩემო ერთგულო!

ძალამიხდილი ჰანგო ოდნავ თავს წამოსწევს. ჰხედავს გმიროს დედოფალი გულთან ჩაკონებული ჰყავს და უსიტყვოდ მწარე კვნესა აღმოჰხდება

**ძნელო** შენ ხარ მხოლოდ ჩემი ღირსი,
შენ, რაინდი უძლეველი,
ვიამაყებ შენთან ალერსს, როს წელს
მომხვევს რკინის ხელი!
ვიამაყებ, რადგან სატრფოვ, შენ ხარ
სოფლის მბრძანებელი!
ვიამაყებ, რადგან შეგწევს ძალა, გრძნობა
ულეველი,
ვიამ ყებ, რადგან შენ გაქვს გავარდნილი
შორს სახელი!

ისმის კვლავ ჰანგოს გულმოსაკლავი კვნესა.

**გმირო** ვაჟკაცს ჰნახავ ჭირსა შიგან
შეუპოვარს, გამეხებულს.
ომში მებრძოლს მამაცურად, განთქმულსა
და სახელქებულს
ურიცხვ მტერთა ზარის მიმცემს, სასტიკსა
და გამაგრებულს—

**ძნელო** ეხვევა
მაგრამ ქალის ტრფობის ეშხით გულჩვილსა
და მინაზებულს.
ქალის ერთის კოცნისაგან დამცხრალსა და
დამარცხებულს.
სიყვარული იმონავებს ძლევამოსილს,
გამარჯვებულს.

**გმირო** ეს მონობა საამოა, ჩემს გულსა
ვგრძნობ დაამებულს.

ისმის ჰანგოს კვნესა

**ძნელო** გესმის, გმირო, ვიღაც კვნესის,
ჩვენი ტრფობა იწამლება;
იგი გვიშლის ჩვენ ტკბილ ალერსს,
რა მომაკვდ ვს კვნესა ჰხვდება!
შენთან როგორ დავყო ხანი,
თუ არ მახლავს მყუდროება?
თავი განვითავისუფლოთ
და კვლავ ვპოვოთ ღლტაცება!

**გმირო** მ ს თავიდან მოვიშორებ!

ხანჯალს იძრობს

**ძნელო** ვერ გაუძლო მან ჩემს ტრფიალს,
ვერ გაუძლო ცეცხლის გრძნობას
და აწ ტანჯულ მის სიცოცხლის
შენ გავალებ მთლად ჩაქრობას!

**გმირო** ხანჯალს რომ აღმართავს, ჰანგო ოდნავ თავს წამოსწევს და დაიკვნესებს. გმირო იცნობს თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმას, უცბად შეკრთება. ფიქრის შემდეგ გაშმაგებული
დედოფლისკენ გამოექანება ხანჯალ-მოღერილი
ო, გრძნეულო! ეს რა მიყავი!

**ძნელო** გულმკერდს გადიღეღს და დაუჩოქებს
მორჩი და მომკალ, თუ არ გიყვარვარ!
მომკალ მიჯნური და იცოდე, რომ უბრალო ვარ!
მომკალ, თუ ჩემი სიყვარული შენ არად გიღირს.
თავსკი ჰკითხავდე, რა მიმიძღვის დანაშაული!
მე ხომ წელან მოგალხინე,
ვიქმენ შენი საყვარელი;
და ძმას სჩივი, ოდეს შენთვის
ვიქმენ სევდის უკუმყრელი?
და რომ იცოდე, ჰანგო აგრე რად განიწირა,
ჩემკენ მოღერილ ხანჯალს მასვე მოუღერებდი,
მე შენ მიყვარხარ, ეს შენმა ძმამ კარგად
უწყოდა,
რადგან თვით ჩემი ხვაშიადი მას გავუმჟღავნე.

(გაგრძელება იქნება)

**ალ. შანშიაშვილი**

# ჩვენი თეატრი და მსახიობის ტრაგედია

წინა წერილში („თ. და ც.“ 8) ვეცადეთ გამოგვერკვია, რომ მსახიობი, სასცენო ხელოვნების განსაკუთრებული თვისების გამო ერთგვარად შებოჭვილია მაყურებელ-მსენელის გემოვნებით და ამის გამო იგი ყოველთვის ვერ ახერხებს განახორციელოს თავისი ესთეტიური ტკბობის საგანი და ბევრჯერ იძულებულია ისეთი როლი შეასრულოს, რომელიც მას სრულიად არ მოსწონს და ამიტომ, როგორც ხელოვანი, უსათუოდ იტანჯება.

ასეთსავე ტრაგედიას განიცდის, რა თქმა უნდა, ჩვენი მსახიობიც, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი უფრო ცუდ პირობებშია, ვიდრე რუსის, ან ევროპის სხვა დაწინაურებულ ერთა მსახიობნი.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ განათლებული ქვეყნების დიდ ქალაქებში, სადაც თავი მოუყრია პირველხარისხოვან ინტელიგენციას, სადაც საზოგადოების საერთო განათლება შედარებით მაღლა სდგას, რომ იქ სათეატრო საზოგადოების გემოვნებაც შედარებით უფრო განვითარებულია, მაშინ მივხვდებით, რომ იქ შესაძლებელია ისეთი თეატრების შენახვა, რომელნიც ხელოვნების პრინციპებს შედარებით მტკიცედ იცავენ და, მაშასადამე, შეუძლიათ იყოლიონ თავის რამპასთან ნამდვილი ხელოვანი— მსახიობნი და არ ჩამოაქვეითონ ისინი უბრალო ხელოსნებამდის.

რუსეთში, მაგალითად, თეატრს ასაზრდოებენ: ინტელიგენცია, ბურჟუაზია და ბიუროკრატია (მოხელენი). ეს, ცოტათ თუ ბევრად, განათლებული ნაწილია რუსის ხალხისა, რომელსაც რამდენიმედ გემოვნებაც აქვს განვითარებული და მსახიობსა და მაყურებელს შორის ამ მხრივ ძალიან დიდი განსხვავება არ არის. მაშასადამე, იქ მსახიობი თუმცა განიცდის სულიერ ტანჯვას, მაგრამ ისე ძლიერად კი არა, როგორც ჩვენი მსახიობი, რომელიც იძულებულია გაუთანასწორდეს ჩვენს მაყურებელს, ჩვენს გაუნათლებელს და გემოვნება განუვითარებელ მაყურებელს ეს აზრი გადაჭარბებულად არ უნდა ეჩვენოს მკითხველს, თუ გაიხსენებს, რომ ჩვენს თეატრს დღემდის ასაზრდოებს უმთავრესად მდაბიო ხალხი, მუშა და მოსწავლე ახალგაზდობა.

ჩვენებური ინტელიგენცია და მოხელეობა თეატრს არა სწყალობს, ბურჟუაზია არა გვყავს. ამიტომაც ჩვენმა თეატრმა იმ თავითვე სახალხო თეატრის სახე მიიღო და დღემდის ამ გზით მიდის. მადლობა ღმერთს, ასე სჯობია! მე მჯერა, რომ ხალხის, გრძნობა გაურყვნელია, სადი და ჩვენი თეატრიც ხალხის ამ საუკეთესო საგანძურთა სალაროში საკმაო ძალას მონახავს თავის ასაყვავებლად და გასაფურჩქნავად. მაგრამ დღეს დღეობით, სანამ ჩვენი ხალხის უმრავლესობა განათლებას მოკლებულია და სათანადო ცოდნითა და გემოვნებით არ არის აღჭურვილი, ჩვენი მსახიობის მდგომარეობა მართლაც ტრაგიკულია

სწორედ ამ გარემოებაზე მიმითითა, სხვათა შორის, ჩემმა მობაასემ და მითხრა: რა უნდა ვქნათ, ღმერთმანი! თუ ხელოვნური, უცხო მწერლის ნაწარმოები დავდგით, ხალხი არ გვეკარება. დავდგამთ „სამშობლოს“ და თეატრი გაჭედილია. ორიგინალური რეპერტუარი მეტად ღარიბი გვაქვს და ჩვენს სულიერ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. როგორ მოვიქცეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მოვახერხო სცენაზე მუშაობა, თუ ჩემი ესთეტიური გრძნობა შელახულია?

ჭეშმარიტად აუტანელი მდგომარეობაა ხელოვნისათვის, რომელსაც ხელოვნება უყვარს და ხელოვნურ შემოქმედებაში ეძებს თავის უმაღლეს ტკბობას. მართლაც შეიძლება ამ პირობებში მსახიობი მეტად ჩამოქვეითდეს, როგორც ხელოვანი, ან და საბოლოოდ გული გაუტყდეს და სცენას თავი მიანებოს.

როგორც ვხედავ, ორივე მოვლენას ადგილი აქვს ჩვენს სცენაზე. ფრიად სამწუხარო მოვლენაა და პირველზე უფრო უკანასკნელი, რადგან თუ სცენას, გულგატეხილობის გამო, გასცილდებიან ნამდვილი ქურუმნი და გულშემატკივარნი ხელოვნებისა, ჩვენი თეატრი ჩამოქვეითდება, დაეცემა და გადაგვარდება.

ამ გარმოებაზე მინდა მივაქციო ყველას, და უმთავრესად იმ მსახიობთა, ყურადღება, რომელთაც ზემო დასახელებული მიზეზის გამო ჩვენს სცენაზე გული აუყრიათ.

ეს გულის გატეხა შეცდომის ბრალია. „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — ჩემის აზრით შეუწყნარებელი აბსურდია და „ხელოვნება მარტო საკუთარი ტკბობისათვის“ სასცენო ხელოვნებაში პირდაპირ განუხორციელებელია. თუ ჩვენი მსახიობნი ზემო მოყვანილი დევიზებით ხელმძღვანელობდნენ, რა თქმა უნდა, გული გაუტყდებოდათ, რადგან მათი განხორციელება სცენაზე შეუძლებელია. ნაყოფიერი მუშაობისათვის, მაშასადამე, საჭიროა იმ დებულების მიღება, რომელიც ზემოთ მოვიყვანე. ეს საზოგადოთ. ხოლო ჩვენი მსახიობებისთვის კიდევ ერთი რამ არის საჭირო - დიდსულოვნება და მდაბიო ხალხის აღზრდის სურვილი.

მეუბნებიან — თეატრი პედაგოგიურ მიზნებს ვერ დაისახავსო. თანახმა ვარ. მაგრამ ერთი მიბრძანეთ: როგორ გნებავთ მოასმენინოთ მუსიკის სრულიად უცოდინარ კრებულს რომელიმე ჟენიალური სიმფონია? და რომ მოვამზადოთ ეს ხალხი სიმფონიის მოსასმენად, საჭიროა თუ არა შევაჩვიოთ იგი მუსიკალურ მოტივებს, მელოდიებს? ამას დრო უნდა, თუ არა? და სწორედ ეს შეჩვევა, ხალხის გემოვნების თანდათანი განვითარება უნდა დაისახოს მიზნად ჩვენმა მსახიობმა, რომ მერე ამ მომზადებული მაყურებლის წინაშე თამამად გაშალოს შემოქმედების ფრთები, უშიშრად ანდოს მას თავისი გულის ზრახვანი, რადგან ეცოდინება, რომ ეს მომზადებული ხალხი მიუხვდება გულის პასუხს, სულის ლტოლვას და მასთან ერთად იტირ-იცინებს. ეს იქნება უმაღლესა ბედნიერების მომენტი მსახიობისთვის და მის მოსამზადებლად ღირს იმუშაოს კაცმა. ვიმეორებ, ჩვენში ეს მომზადება აუცილებელია, ისეთ ხანაში ვსცხოვრობთ. ჩვენი სცენის ნამდვილნი ნიჭიერნი მსახიობნი განვითარებით ბევრად მაღლა დგანან ჩვენს თეატრში მოსიარულე ხალხის უმრავლესობაზე: მაშასადამე ჩვენი სცენის გულშემატკივარმა მუშაკებმა უახლოეს მიზნად უნდა დაისახონ ამ ხალხის მაღლა აწევა, მისი გემოვნების და აზროვნების განვითარება უდიდესი მიზნის განხორციელებისათვის მომავალში.

ამის მიხედვით უნდა შეურჩიონ რეპერტუარიც. უნდა მიაწოდონ მას ადვილად გასაგები რამ, რაც მისი გულისკენ გზას იოლად იპოვის: ასეთია მშობლიური ცხოვრებიდან აღებული ნაწარმოებნი. ვსთქვათ, ეს ნაწარმოებნი სუსტი არიან, ხელოვნების მკაცრ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ — არა უშავს რა. თუ მხედველობაში ჩვენი ზემოთ დასახული მიზანი გვექნება, ეს გარემოება არ შეგვაშინებს, ხელოვნების შელახვას ვერავინ დაგვწამებს. ბავშვს ან-ბანიდან აწყებინებენ სწავლას, და არა შექსპირის ტრაგედიებიდან!.. თანდათან გაიზრდება ხალხის გემოვნება და მოთხოვნილებაც. აი, აქ მოსძებნიან ჩვენმა მსახიობებმა ერთგვარად სულიერი და ზნეობრივი დაკმაყოფილება.

თუ პატივცემული ჩვენი სცენის მსახურნი ამ აზრსა და შეხედულებას გაიზიარებენ, მათ დღევანდელ გულგატეხილობასაც ნიადაგი ეკარგება და ენერგიულ მათ მუშაობას ჩვენი სახალხო თეატრის საკეთილდღეოდ კვლავ უნდა მოველოდეთ.

მეტად მძიმეა ტვირთი, ეკლიანია გზა, მაგრამ მეტად მაღლია ჩვენი ხალხის გული, რომლის მოგება ცოტა სიკეთითაც შეიძლება და ნეტავი მას, ვინც ძალ ღონეს არ დაიშურებს, რომ იქ ადგილი მოიპოვოს და დაიმსახუროს ხალხის სიყვარული.

**ის. ვარაზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




**თავ. ევგენ (გენო) დავითისძე ქობულაშვილი**

ოსმალეთის საზღვარზე მოწინავე პოზიციებზე სახადით დაავადმყოფდა დეპ. ვ. ლ. გელოვანთან დაჭრილთა მოვლის დროს. გარდაიცვალა 22 თებერ. დაკრძალულ იქმნა კახეთში—შუამთის მონასტერში.

---

# ქალაქში

(იმერული სცენა)

ალმასხანამ ცოლი ჩამოიყვანა ქალაქს ექიმთან. უმთავრეს ქუჩაზე, საცა ბევრი ხალხი ირეოდა, დედაკაცს თვალები აუჭრელდა, ხან ერთს გაჰყვა ხან მეორეს და გაერია ხალხში. ალმასხანამ ძებნა დაუწყო, როგორც იყო, იპოვა და სტაცა ხელი...

**ალმ.** სად შენ ეშმაკებში გარბიხარ, შე ჯილაგ ამოსაწყვეტო, ნელა ვერ ივლი?

**ალათი.** უი, უი, უი, მომეჭრა თავი. ერთი შეხედე, კაცო, ამ ქალს; უკან თლათ გარღვევია კაბა. მივალ და ვეტყვი მაგ მიწა გასაწყვეტს.

**ალმ** კიდო თქვა, ნუ ტიტყინოფ, დედაკაცო, ნუ მარცხვენ ამ ალიაში... ეგ მოდნაა, შენ კი მოუკვდი შენ პატრონს ადრე და მალე, ნუ მარცხვენ.

**ალათი.** უი, ჰირი კი მეედვა მაგას, ეგ მოდნა არ იყოს. ყორიფელი უჩანს, უი, უი, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა. . (ქმარი მიათრევს ძალით... უცებ შედგა ალათი, გაშალა ხელები და გაექანა) უი, შენ კი გეიხარე და გაახარე შენი პატრონი. შეხედე, კაცო; ჩვენი ბიქტორიეი, აფიცრობა მიუღია, რანაირად ბრწყინავს, შენ გენაცვალე!..

**ალმ.** რაო? ეს ჩვენი ხილინდრას ბიჭი არ არის? ჰმ, დიდება შენდა ღმერთო!

**ალათი**. უი, მაგას კი ენაცვალოს ალათი (უნდა გადაეხვიოს, ალმასხანა დაიჭერს).

**ალმასხ** რას შობი, შე გვარში ამოსაწყვეტო?.. ნამდვილათ ბაწრით უნდა მივიბა ქამარზე ეს შეჩვენებული... გაჩერდი, თვარა გაკათავე. (მუშტს მიუღერებს ცხვირთან).

**ალათი.** რა იყო, შე ჩემო მკვლელო, ჩემიანის ნახვას ვინ დამიშლის, ჩემ კალთაში გეიზარდა, მაგას ენაცვალოს დეიდა...

**ალმას.** კიდო თქვა. მაშინ სხვა იყო... და ახლა ვერ უყურებ... მინისტრის ტოლი კაცია... ჩვენისთანა მუნიანებიზა სცალია მაგას? (ამ დროს უეხვდება ახლდ მეზობელი)

**ნიკიფორე.** ოო, ალმასხან, გამარჯობა კაცო შენი, როდის ჩამოსულხარ: რავა ხარ!

**ალმ,** ნიკიფორეს ვახლავარ; მე ქე ვარ კარგათ, ჩემო ნიკიფორე, მარა ეს შეჩვენებული გამიგიჟდა, ვისაც დეინახავს ნაცნობს ამ ურცხო ადგილას, ყველას კისერზე ეხვევა.

**ნიკიფ.** ეს ვინ არის?.. იმე, ალათი! რავა ხარ ბძახალო?

**ალათ** უი, შენ შემოგევლოს ალათი, ჩვენი ნიკიფორე, ბეჩა რამდენი ხანია აღარ მინახავხარ. რანა-რათ გამოცვლილხარ, შენ გენაცვალე! (უნდა მოეხვიოს. ალმასხანა დაიჭერს.)

**ალმ.** კიდო თქვა, დედაკაცო, ნუ ყვირი და ენა დეიმოკლე თქვა. (ალათი გაჩერდება) ბეჩა ნიკიფორე, ჩვენი ალმასხანის ბიჭს რომ აფიცრობა მიუღია, არ გიკვირს?

**ნიკიფ.** იმე, მაგი აღარ არის, ძმაო, გასაკვირი ახლანდელ დროში. წინად იყო ძნელი, თვარა ახლა ქე რა არის! ყაზახს ნალადრალი ცომი ჭადის ჰამით ნაცრის ფერი ედვა და ახლა ქე რავა მიეკარები სიახლოვეს?

**ალათ.** უი, უი, შეხედე ბეჩა რამდენი ულაშ დაპარსული ხალხია... ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა... (გაიწევს წასასვლელად, ალმასხანა შეაჩერებს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალნ.** კიიდო თქვა, გაჩერდი, დედაკაცო. ძალიან მინდა შენთან მუსაიფი ჩემო ნიკიფორე, მარა სანამდი ამ შეჩვენებულს არ დავაბამ საცხა, არ შემიძლია და მერე ქე გნახავ: ერთი ჩამევიმუსაიფოთ მე და შენ ჩვენებურად.

**ნიკიფ.** ისემც კაი დაგემართოს. ხვალ გამოდი აქანეი ე იმ დიდ პოძთან სკამზე და დაგხვდები.

**ალმ.** აპა, მშვიდობით. (ეთხოვებიან ერთმანეთს)

**პ. კორიშელი**

# მწიგნობრობა

## ზ. ჭიჭინაძის ახალი შრომანი



**ზ. ჭიჭინაძე**
ახალ შრომათა გამოცემის გამო

ჩვენმა მრავალწლის ნაამაგდარმა, დაუღალავმა ზ ჭიჭინაძემ ამ ბოლო ხანებში კიდევ ორი დიდი წიგნი შესძინა ჩვენს ღარიბ სამწერლო სალაროს.

ორივე წიგნი მეტად საყურადღებოა.

პირველია **„მუსულმან ქართველობა“ და მათი სოფლები საქართველოში“**, აღწერილი თვით ზაქ ჭიჭინაძის მიერ, ხოლო გამოცემული ცნობილ ქველმოქმედისა და მწიგნობრობის მოყვარულის იაკობ ალექსანდრესძე მანსვეტაშვილის საფასით. წიგნი შეიცავს 322 გვ. ფ. 60 კ., ვენური ასოთი დაბეჭდილი. ამ წიგნში აღწერილია ქართველ მაჰმადიანთა ყოფა-ცხოვრების თითქმის ყოველი მხარე და ვისაც ჰსურს ქართველ მაჰმადიანთა, ჩვენს ძმათა ვითარებას გაეცნოს, ეს წიგნი დიდს სამსახურს გაუწევს. მეორე წიგნია **„ოსეთი ქართული წიგნებით“** ანუ **„ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულ-ის წყაროებით“**, აღწერილი და გამოცემული თვით ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნი შეიცავს 288 გვ. დართული აქვს 17 სხვა და სხვა ისტორიულ პირთა სურათი (ცალკე დაბეჭდილი), შესავლის წარწერა-განმარტებით და ჰღირს 1 მ. ამ წიგნში თითქმის ყველაფერია მოთხრობილი, რაც ოსეთის შესახებ მოიპოვება სხვა და სხვა ისტორიულ წყაროებში, ნაბეჭდს თუ ხელნაწერ წიგნებში და ზეპირად გარდმონაცემში. წიგნი უმთავრესად გვიჩვენებს საიდან და როგორ წარმოსდგენ ოსები, ოსებსა და ქართველებს როგორი ურთიერთობა ჰქონდათ, ოსები რა რიგ იცავდენ ქართულ მწიგნობრობასა და ენას, როდის გავრცელდა ოსთა შორის ქრისტიანობა, სწავლა-განათლება რა დონეზეა, მათი მწიგნობრობა, თეატრი, ზნე-ჩვეულებანი, გადმოცემანი და სხ. სხვა.

ორივე წიგნი შინაარსით მდიდარია, ფრიად საყურადღებო და წასაკითხავად სასურველი.

ი — ი

# თეატრის ისტორია

## III უძველესი საბერძნეთის თეატრი

არც ერთ დროს შემდეგ ხელოვნება იმდენად არ განვითარებულა, რამდენათაც განვითარებული იყო უძველეს დროს ელადაში. იქ ხელოვნების განვითარებას, გარდა ბუნების სიმშვენიერისა და ხალხის დიდი ნიჭისა, ხელი შეუწყო სხვა გარემოებამაც. საბერძნეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და ამ დამოუკიდებლობამ ხელოვნების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა.

საბერძნეთს ბედმა წინად იშვიათი ხვედრი არგუნა, მისი განვითარება დამოუკიდებლივ სხვისი გავლენის გარეშე ხდებოდამას არავინ ავიწროვებდა, თავის გავლენას ძალით არავინ ახვევდა. ბერძნებმა თვისი მართველობა ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზედაც გაავრცელეს. მათთ ის ამ მართველობის გავრცელების დროს არსად სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

დემოკრატიულმა წყობილებამ, რომელიც ელადის უძველესი წყობილებაა, და რასაც მოწმობს ჰომერის მიერ სახალხო კრების აღწერა, მისცა საბერძნეთს ის თავისუფლება, რომელმაც ხელოვნების განვითარებას აგრე შეუწყო ხელი ელადაში. ხელოვნების, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ფუძე იყო არა არისტოკრატიული სპარტა, არამედ დემოკრატიული ათინა.

ხელოვნება განსაკუთრებით სპარსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის შემდეგ განვითარდა. პატარა ელადამ გაიმარჯვა უდიდეს სპარსეთზე და ბერძნები თავის თავს პირველ ხალხად სთვლიდენ მთელ დედამიწის ზურგზე. ომის შემდეგ მშვიდობიანობის დამყარებას მოყვა ეკონომიური აღორძინება. ეკონომიურმა აღორძინებამ სახელმწიფოსა და კერძო პირებს საშუალება მისცა ხელოვნების საქმეებზე დიდი ხარჯი გაეღოთ.

ათინის რესპუბლიკის სათავეში მდგომმა განათლებულმა პერიკლიმ 28 წლის შრომით ათინა ძალიან გაამშვენიერა. გამშვენიერებული ათინა ქვეყნის შუაგული გახდა სადაც საბერძნეთის დიდი ნიჭისა და ტალანტის ხალხი იკრიბებოდა. ქვეყნიერებამ ასეთი ბრწყინვალე დრო მეორე არ იცის.

გავიდა ათასი წლები, დაუნდობელმა დრომ დაანგრია და ფერფლად აქცია ამ ეპოქის დიადი ქმნილებანი, მაგრამ რაც დარჩა —ძველის ნაწყვეტები და ნანგრევები, დღეს ადამიანს ისიც უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის. აგრეთვე ეს ძველი ნანგრევები გახდა ფუძედ, რომელზედაც აღმოცენდა კულტურულ ხალხთა აწინდელი ხელოვნება უძველეს საბერძნეთში. ამავე დროს იწყება თეატრის აღორძინება, მაგრამ ამაზე შემდეგ.

**გიგლა მებუკე**

# ქართული სახიობა

**ქუთაისის ქართ. მსახიობთა ამხანაგობაში** არიან: ქ.ქ. მარო მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ქილარჯიშვილი, პ. შოთაძე, ქ გორდელი, ბ.ბ ი ზარდალიშვილი, გ. არადელი-იშხნელი, ალ. ყალაბეგიშვილი, ნ. გვარაძე, ა. მურუსიძე, ა. მგალობლიშვილი, დ. ჩხეიძე, ვ. სარელი, ნ ჩხიკვაძე, სუფლიორი გ. გურული, სცენარიუსი გუგუშვილი, რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი, დასის რწმუნებული ვასო ურუშაძე. განზრახულია გასტროლები ჩვენი სცენის დამსახურებულ მსახიობთა.

დასმა პირველად წარმოადგინა აკაკის ხსოვნის პატივსაცემლად „პატარა კახი" 12 თებერვალს. შემოსავალი იყო 160 მან. მეორე წარმოდგენა 13 თებერვალს დაკლებულს ფასებში „თამარ ბატონიშვილი 130 მანათი, 14 თებერვ ლს გასტროლი ნინო ჩხეიძისა „მედეა" 525 მ. 15 თებერვალს მეორე გასტროლი ნინო ჩხეიძისა „მარგარიტა გოტიე" 530 მ სეზონი გაგრძელდება 12 მაისამდე. **სუ—ლი**

**დ. ხაშურში** კვირას, 22 თებერვალს, ნიკო გოცირიძის მონაწილეობით ხაშურის ქარ. დრამ. წრემ გაჰმართა მეორე საგასტროლო ქართული წარმოდგენა. ითამაშეს „კრეჩინსკის ქორწინება" კომ. 3 მოქ. და ერთ მოქ ვოდ „ვაი-ყობოს". ჯერ ზარდალიშვილისა და მერე ნ. გოცირიძის ჩამოსვლამ დიდ-ძალი საზოგადოება მოიზიდა სათეატრო დარბაზში. საზოგადოება აღტაცებით ელოდა ორ ნიჭიერ ხელოვნების ქურუმთა დანახვას სცენაზე, იმ სცენაზე, რომელიც თავ-გამოდებით შეიყვარა ხაშურის საზოგადოებამ და გულწრფელათ ესწრება ქართულ წარმოდგენებს. საზოგადოებას კარგა ხანია სწყუროდა ნ. გოცირიძის ხილვა პროვინციალურ სცენაზე და აი, აიხადა თუ არა ფარდა და ნ გოცირიძე გამოჩნდა, დარბაზში მისასალმებელი ტაშის ხმა გაისმა და ოვაცია გაუმართეს. კრეჩინსკის როლი ი. ზარდალიშვილმა მოხდენილად და ტემპერამენტით დაგვისურათა. ტიპიური რასპლიუევი იყო ნიკო გოცირიძე. კარგი ატუევისა იყო ქ. ნ. ყაჭეიშვილისა და სიცოცხლით აღსავსე და გულუბრიყვილო ლიდოჩკა—ქ. ა. შოთაძე, დანარჩენი მოთამაშენი თავიანთ როლებში იყვნენ. პიესა თავიდან-ბოლომდე მწყობრად ჩაატარეს. დაბოლოს ითამაშეს ვოდევილი „ვაი-ყობოს", რომელშიც მონაწილეობდენ: ქ, ა. შოთაძე; ბ.ბ, ი ზარდალიშვილი, დ. ძნელაძე და დ სხალაძე და ისე კარგათ და ცოცხლად ჩაატარეს ვოდევილი, საზოგადოების სიცილს ბოლო აღარ უჩანდა.

ამ სასიამოვნო გარემოებასთან არ შემიძლია უყურადღებოდ დავსტოვო ის სამწუხარო სურათიც, რომელსაც მეტად ხშირად აქვს ხოლმე ადგილი სათეატრო დარბაზში. ეს გახლავთ: ზოგიერთი ხელოვნების არა მოყვარულთა უზრდელი და თავდაუჭერელი ქცევა, ზოგიერთთა ვაჟბატონთა მოურიდებელი, უზრდელი სიტყვები, და ბევრი სხვა, რასაც ხელოვნების ტაძარში სრულებით არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ყველა იმის ცდაში უნდა იყვეს, წესიერება თვითონვე დაიცვას.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ხუთშაბათს 5 მარტს. ითამაშებენ „პატარა კახს"

**ნიკო გურული**

# წვრილი ამბები

**დ. ხაშურში**, კვირას 8 მარტს ი. ზარდალიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება იმერეთის მეფე".

**ან. ერისრავ-ხოშტარიას რომანი** „მოლიპულ გზაზე ხუთმოქმედებიან პიესად გადააკეთა ვ. გარრიკმა, პიესა გარდაეცა რეჟისორს მ. ქორელს.

**ქუთ. ქართ. მსახიობთა ამხანაგობა** კვირას, 1 მარტს წა მოადგენს დ. კლდიაშვილის ახალ ორიგინალურ პიესას „უბედურება", ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან ტრაღედია 1 მოქ. კ. ანდრონიკაშვილის ორიგინალურ პიესას „სიზმარი კოშკში" და აკაკის კომედია „ბუტიაობას". ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

**მსახიობმა ალ. იმედაშვილმა** თანხმობა გამოაცხადა ითამაშოს ოტელოს როლი ქუთაისში. პიესა მზადდება 7 მარტისათვის.

**ქუთ. ქარ. მსახიობთა ამხანაგობის** განზრახული რეპერტუარი მარხვის 5 6—კვირაში: „დაძირული ზარი", ჰაუპტმანისა „ოტელო" შექსპირისა და „მეფე ედიპე", სოფოკლისა, და ახალი ორიგინალური პიესა „განწირულნი" შოთა დადიანისა

**ალ. იმედაშვილი საგასტროლოდ** ქუთაისშია მიწვეული ორი წარმოდგენისათვის.

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

| წელიწადი მესამე | მიიღება ხელმოწერა 1915 წ. | წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან. |
| --- | --- | --- |

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერა-ტურო, სახელოვნო და საზოგადოებ-რივ ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშეა**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი1 მ. ენკენისთვის 1.

**ელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—**7** ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნო სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 ვე. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4 ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

**1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის**

**ახალი გაზეთი**

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ფასი: ერთი წლითი წლით 8 მან. ნახევარ-წლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ- დამატებიანი—7 კ. ესევე გაზეთი დაუ-რიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს. წერილები და ფული იგზავნოს შემდეგს მისამართით: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობ-ლო“** თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა. გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდე-ბულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნა-თესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულე-ბათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღე-ებში გამოცხადდება.

**რედაქტორი ი. თ. ცინცაძე**

## ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყო-ბილი, **სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზვა-რეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)




**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.**

ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი

# „სახალხო ფურცელი“

(კვირაობით) **სურათებიანი დამატებით** (კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ.

ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 50 კ. ◆ ადრესის გამოსაცვლელი ფასი: თბილისისა თბილისს გარედ, ან თბილისის გარეთისა ისევ თბილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კ.

შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით:

ხელისმოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდ. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**ხელის მოწერა მიიღება:** „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. »Сахалхо Пурцели«, почт. ящ. № 190.

---

„თეატრი და ცხოვრების“ კანტორაში ისყიდება გ. თუმანიშვილის წიგნი

## Характеристики и воспоминанія

(ქართული თეატრი—ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.—რუსის მწერლები ჩვენში და სხვ.)

სამი ნაწილი, ფ. თითო ნაწილის—50 კოპ.

მთელი შემოსავალი დანიშნულია ქართულ თეატრი აღსადგენად ფონდის გასაძლიერებლად. (5—5)

---

ჟურნალი

## „თეატრი და ცხოვრება“

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გარდაეცა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კანტორა

---

## „მანთიადი“-ს

**გიორგი მაქ. მახარაძეს**

მიხეილის პროსპექტი, № 18. ფოსტის ყუთი № 21.

ყველა გამყიდველთ თბილისისა და პროვინციისა მას უნდა მიმართონ.

---

**სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზაში**

## აკაკის შემდეგი

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| I ტომი | 1 | „ |
| II ტომი | 1 | „ |
| ბაში აჩუკი | „ | 30 |
| ნათელა | „ | 20 |
| კიკოლას ნაამბობი | „ | 20 |
| ბაგრატ დიდი | „ | 10 |
| ორი ქართველი | „ | 10 |
| ალექსი | „ | 10 |
| გამზრდელი | „ | 10 |
| რჩეული ლექსები | „ | 10 |
| სიმღერა აკაკისა | „ | 15 |

## „ცოდნა“—ში ისყიდება ნაწერები

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი | „ | 5 |
| თამარ მეფე | „ | 5 |
| იგივე რუსულად | „ | 5 |
| ვაჭრული ჭკუა | „ | 5 |
| მამლის ყივილზე | „ | 10 |
| ოცნება | „ | 10 |
| ჩემი ნაწერები | „ | 75 |
| ორი პუბლიცისტური სტატია | „ | 10 |
| [illegible] ერისთავი | „ | 35 |

**აკაკის სურათები:** დიდი სურათი 50 კაპ., მორჩენილი 30 [illegible] 5 კ.

ნარდათ მყიდველს ფასდაკლებით დაუთმობს. **მისამართი:** თბილისი წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძე (3—4)

ЦЕНТРАЛЬНАЯ КОНТОРА ГАЗЕТЪ ТИФЛИСЪ Михайловскій пр. 18 ПЕРІОДИЧЕСКИХЪ ИЗДАНІЙ

Типографія „Сорапань“ — სტამბა „სორაპანი“